ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-12/15057+1044-16

"13" 03 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ცაბაძის ქ. №8–ში (საკ. კოდი №01.13.07.020.041) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №517501 11.02.2013წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1399197 24.07.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, მდებარე ცაბაძის ქ. №8–ში (საკ. კოდი №01.13.07.020.041) მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ფასადების იერსახე, კონსტრუქციული სქემა, ნაწილობრივ კედლების კონფიგურაცია და მასალა. შეცვლილია სვეტების, ვიტრაჟების, წყალმიმღები მილების და კომპოზიციური პანელების მოწყობა. ასევე შეცვლილია მოპირკეთების სისქე, ნაბატი და ფერი. შეცვლილია გადახურვის სიმაღლე, კონფიგურაცია, გაბარიტი, მასალა და მოწყობილია კონდიციონერები და გამწოვი მილი. შენობის შიგნით მოწყობილია ლითონის ელემენტები.

„1-5" ფასადი: ნაწილობრივ სვეტის ძირი მოსაპირკეთებელია. დამატებულია ლითონის სვეტები და შეცვლილია გარე რეკლამების მოწყობა. „11-11" ღერძთან +4.20 ნიშნულზე შეცვლილია მოპირკეთების ფორმა.

„ა-გ" ფასადი: კედლების ნაწილი შესაფუთია. „ბ-ბ" ღერძთან მოწყობილია საფეხური და კარი. „ა-ა" ღერძთან +4.20 ნიშნულზე შეცვლილია მოპირკეთების ფორმა.

შენობის შიგნით შეცვლილია ფერმების მოწყობა, შეცვლილია კედლების ფორმა, რის ხარჯზეც შექმნილია ფართის ცვლილება (შემცირებულია შიდა ფართი და გაზრდილია გარე ფართი). „1-1" ღერძის გარეთ კიბის თავზე მოწყობილია კედელი და შექმნილია შოვი. აღნიშნულ ფართში შესასვლელი კარი და კედლები გაუქმებულია. „10-10" ღერძთან მოწყობილია მსუბუქი გადახურვა.

გენგეგმაზე ნაჩვენები წითელი ხაზები არ შეესაბამება ახალი რეგისტრაციით ნაჩვენებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს ქალაქის გულს, მუხრან სექტორი დიდუბე, ცაბაძის ქ. №8–ში (საკ. კოდი №01.13.07.020.041) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა ნაგებობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/150571044-16 26.02.15წ. და
№12/150571044-16 13.03.15წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

